გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის [illegible] ად და კერძო განცხადებათ. დასაბეჭ[illegible] მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, [illegible] ალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის [illegible], თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, ყუთა-კიძევის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 20 ოქტომბ.

**კნეინა ანნა ჭაჭიაშვილის ასული, თავადნი ნესტორ კონსტანტინეს ძე და ალექსანდრე და ედიშერ ტარიელის ძენი ხიდირბეგოვები** აუწყებენ რა გარდაცვალებასა, პირველი მეუღლისა, მეორე—მამისა, ხოლო მესამენი—ძმისა თვისისა **თავადის კონსტანტინე ტარიელის ძის ხიდირბეგოვისას**, სთხოვენ ნაცნობთა და ნათესავთა მობრძანდნენ დღესა დასაფლავებისასა, რომელიც დანიშნულია ჩვიდმეტს ამა ოქტომბერს, შაბათს, სოფელს ღვანკითში. (1—1)

**დოქტორი ს. ვაჭაძე**

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—1)

ქართული თეატრი

„სახელმწიფო თეატრში"

კვირას, 18 ოქტომბერს,

პირველად ამ სეზონში ნატალია გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით. ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

**მეორედ გაყმაწვილება**

დრამა 4 მოქმედ., გადმოკეთ. თავ. დ. ერისთავისაგან

II

მშვენიერი ელენეს მაძიებელნი

კომედია-ხუმრობა 2 მოქ., გადმოკეთ. ავ. ცაგარელისაგან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ავალოვისა, გაბუნია, მელიქოვისა, მძინაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა; ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია: პარტერში სკამები 50 კაპ. მიუღლებული, გალლერია 20 კაპ. მოსწავლეთათვის კუპონები ლოჟებში ათ შაურად.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

**ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.**

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 15 ოქტომბერს მიიყვანეს რუსთემ-მაშადი-ოღლი (მე-6 ნაწილი, ვარანცოვის ქუჩა, სახლი № 61). ავადმყოფი გარდაიცვალა 16 ოქტომბერს დილით.

## ახალი ამბავი

*** დაბადების დღე მის უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, სხვათა შორის, მიულოცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, მისის უდიდებულესობის კარის კამერჰერმა ლ. ა. მაღალაშვილმა და პასუხად შემდეგი დეპეშა მიიღო მისის უმაღლესობისაგან:

„სახელოვანს ქართველს თავად-აზნაურობას და თქვენც გულწრფელად გმადლობთ მოლოცვისათვის.

მიხეილი"

ლ. ა. მაღალაშვილის მიერ შემდეგი მისალოცი დეპეშა იყო გაგზავნილი.

„ბორჯომში. მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს.

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მხრივ მაქვს ბედნიერება დაბადების დღე მოვულოცო თქვენს უმაღლესობას. ვბედავ და აქავე გამოვსთქვამ ჩემს გულითადს სურვილს, რომ მრავალ ჟამიერ სცოცხლობდეს თქვენი უმაღლესობაცა და მთელი თქვენი უავგუსტოესი სახლობაც".

*** ქ. ბაქოს 1—7 ოქტომბრიდგან ავად იყო 2, ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 2, ავად არის 1.

ქ. განჯას ავად არავინ არის; მაზრებში 5 ოქტომბერს ავად იყო 8; 5—7 ოქტომბერს ავად გახდა 3, მორჩა 4, გარდ. 3, ავად არის 4.

ქ. ქუთაისს 1 ოქტომბერს ავად იყო 4; 1—4 ოქტომბერს ავად არავინ გამხდარა; მთელს გუბერნიაში იმავე დროს ავად იყო 2, ავად გახდა 4, გარდ. 3, ავად არის 3; 4 ოქტომბერს ავად იყო 4; 4—8 ოქტომბრამდის ავად გახდა 1, მორჩა 3, გახდა ავად 1, ავად არის 1; მთელს გუბერნიაში ავად იყო 3, ავად გახდა 3, მორჩა 3, გარდ. 1, ავად არის 2.

ქ. ყარსს 2 ოქტომბერს ავად იყო 11, სამის დღის განმავლობაში ავად გახდა 3, მორჩა 2, გარდ. 2; 5 ოქტომბერს ავად იყო 10; მთელს ოლქში ავად იყო 78, ავად გახდა სამის დღის განმავლობაში 8, მორჩა 25, გარდ. 10; 5 ოქტომბერს ავად იყო 51.

დაღესტნის ოლქში 28—30 სექტემბრამდის ავად გახდა 65, გარდ. 25, მორჩა 54, 1 ოქტომბერს ავად იყო 74.

ერევანს 30 სექტემბრიდგან 3 ოქტომბრამდის ავად გახდა 3; ამ ჟამად ავად არის 3; მთელს გუბერნიაში იმავე დროს ავად იყო 8, ავად გახდა 31, გარდ. 24, მორჩა 9, ავად არის 6.

ზაქათალის ოლქის სოფლებში 4—7 ოქტომბრამდის ავად გახდა 3, მორჩა 1, გარდ. 3, ავად აღარავინ არის.

*** ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: გუშინ, 16 ოქტომბერს, „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა" შეეკრა პირობით ბ-ნ აკაკის მის ნაწერების გამოცემის შესახებ. ამხანაგობას განზრახვა აქვს ნაწერები აკაკისა ათ წიგნად დაჰბეჭდოს.

*** ხვალ, კვირას, ტფილისის საზაფხულო თეატრში ქართული წარმოდგენაა დანიშნული. ამ წარმოდგენაში წრეულს პირველად მონაწილეობას მიიღებს არტისტი - ქალი ნ. მ. გაბუნია - ცაგარლისა და ითამაშებს თავისს საუკეთესო როლს— ბაბალესას „მეორედ გაყმაწვილებაში". წარმოდგენილი იქმნება თ. დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მეორედ გაყმაწვილება" და ხუმრობა-ვოდევილი „მშვენიერის ელენეს მაძიებელნი", გადმოკეთებული ბ-ნ ავქ. ცაგარლის მიერ. ფასები ამ წარმოდგენაზედ გაცილებით დაკლებული იქნება.

*** არა ერთი მაგალითი იყო, რომ ტფილისის ზოგიერთ სახლებში დეზინფექციის შემდეგ მაინც გახდნენ ავად ხოლერით. ამის გამო სანიტართ ებრძანათ, რომ იმ სახლებში, საცა ხოლერით ვინმე ავად გამხდარა, დეზინფექცია ხელ-მეორედ მოახდინეთო, მაგრამ ზოგიერთი სახლი ისე ძველი აღმოჩნდა, რომ დეზინფექციის მოხდენა მაინც უზრუნველ არა ჰყოფდა ამ სახლებში მცხოვრებთ. ასეთი სახლები აღმოჩნდა ერთი ალიშენდოვისა, დამეორეც პაპკინისა მეათე ნაწილში. ასეთივე დაძველებული და დანგრეული აღმოჩნდა ყაზაროვის ქარვასლა მერვე ნაწილში. ამ დღეებში სასანიტარო დასი დაათვალიერებს და შემდეგ გადასწყვეტს, რა უნდა მოუხერხოს ამ სახლებსა.

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლაში ამ სკოლის დაარსებიდგან სწავლა 19 ყმაწვილს დაუმთავრებია და სამს პრაქტიკანტს. წელს ამავე სკოლაში 18 ყმაწვილს უნდა დაემთავრებინა სწავლა, მაგრამ ხოლერამ შეუშალა ხელი და სწავლას დეკემბერში დაამთავრებენ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა დაითხოვა 16 ოქტომბრიდგან მოწვეული ექიმები ხოლერასთან საბრძოლელად: ბათუმის მკურნალი ჟილინსკი, სამტრედიისა—მესხი, გომისა მიასოედოვი, ტფილისისა—რუბინშტეინი, განჯისა—დოროგანი, ბაქოსი—კოლანი.

*** სომეხთა მღვდელს ტერ-გალუსტიანცს ვანქის ეკკლესიის გალავანში 5,000 მანათად ღირებული სახლი აუშენებია და ამ ეკკლესიისათვის შეუწირავს იმ პირობით, რომ სიკვდილამდე თავისს ხელში იყოს და თითონ ისარგებლოს.

*** დუშეთის და თიონეთის მაზრებში წრეულს ღვინო ბლომად მოსულა, მაგრამ ჭირნახული ხანგრძლივს გვალვას იმდენად გაუფუჭებია, რომ ზამთრამდისაც-კი არ გასწვდებათ თურმე. ღარიბ მთიულებს დუშეთსა, თიონეთსა და სხვა დაბებში ჩამოურეკიათ ოთხ-ფეხი საქონელი და ნახევარ ფასადა ჰყიდიან. ძროხა 7—8

## ფელეტონი

**უცხოთა შორის**

ორთქლი და ელექტრონი.—სწავლულთა აზრი ელექტრონის შესახებ.—ელექტრონის გამოყენება ომიანობაში.—ედისონის მოგონება.—დეპეშის გადაცემა უმავთულოდ.—ელექტრონის ნავი.—შეუჩერებელი მიმოსვლა რკინის გზის მატარებლისა.—მატარებელი - ქვაფენილი.

გამოჩენილმა მეცნიერმა სადი-კარნომ, საფრანგეთის რესპუბლიკის აწინდელ პრეზიდენტის პაპამ, სთქვა 1824 წელს: „ორთქლის ძალა დიდად შესცვლის განათლებულს ქვეყნებში ავ-კარგიანობასაო". სადი კარნოს წინასწარმეტყველება გამართლდა. სხვადა-სხვა ორთქლის მანქანებმა ძლიერ შესცვალა ადამიანის ყოფა-ცხოვრება. ამ ჟამად ორთქლით დადის რკინის გზის მატარებელი, ორთქლით მუშაობს ათას ნაირი ქარხანა, ორთქლით დაჰყავთ გემები...

ერთმა მეცნიერმა სთქვა: ინგლისს რომ ორთქლის მანქანები წაართვათ, უფრო მეტად საზარალოა მისთვის, ვიდრე მთელის ფლოტის განადგურებაო. მაგრამ ამ ორთქლმაცკი, ვგონებთ თავისი კალო უკვე გალეწა. ამ ჟამად დაიბადა ახალი ძალა, ძალა ელექტრონისა, რომელიც უფრო დიდად შესცვლის კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებას. ელექტრონის ძალა ეხლაც მეტად სასარგებლოა ხალხისათვის და, გვგონია, რომ ოცსა ან ოც-და-ხუთ წელს შემდეგ ისე შესცვლის ჩვენს ავ-კარგიანობას, რომ ეხლა სიზმარშიაც ვერა ვნახავთ. ელექტრონის ძალის მეოხებით ჩვენის ცხოვრების წეს-წყობილება სრულიად და სავსებით შეიცვლება.

**

რა არის თვით ეს ელექტრონის ძალა? ინგლისელი მეცნიერი ლოჯი ამბობს, რომ „ელექტრონი ეფირის ძალააო". მეორე ინგლისელივე მეცნიერი კრუკსი ამტკიცებს: „ელექტრონის ძალა სხვა-და-სხვა ნაწილისაგან შესდგებაო", ე. ი. ელექტრონის ძალას შეადგენს წყალ-მბადი, მჟავ-მბადი და სხვა. საფრანგეთის მეცნიერი ბადურო გვარწმუნებს, რომ ელექტრონის ძალა ისეთისავე სხივებისგან შესდგება, როგორც მზის შუქიო და სხ. ამ გვარი. სწორედ მოგახსენოთ, მეცნიერთ ჯერ-ჯერობით კარგად ვერ გამოუკვლევიათ, რისგან წარმოსდგება საკვირველი ძალა ელექტრონისა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანის გონება ოდესმე ამ გამოცანასაც გამოიცნობს.

**

ასეა თუ ისე, ეჭვი არ არის, რომ ელექტრონი მართლა შესანიშნავი ძალაა და ადამიანს შეუძლიან ათას ნაირად გამოიყენოს ეს ძალა. მაგალითად... ომიანობას. ამას წინად ედისონს უთქვამს: ელექტრონის ძალის შემწეობით ეხლანდელი ომი, ცოტა არ იყოს, უნდა შეიცვალოსო. ედისონის აზრი ამ საქმის შესახებ ფრიად მარტივი და ადვილი გასაგებია. საჭიროაო, ამბობს ედისონი, ეს საკვირველი თვალთმაქცი მეცხრამეტე საუკუნისა: ციხეში ელექტრონის დიდი მაშინა გაიმართოს, ამ მაშინას შეუერთონ წყლის სასხურებელი მანქანაც, სწორედ ისეთი, როგორსაც ცეცხლის მქრობელი რაზმი ჰხმარობს და მორჩა და გათავდა. ელექტრონის მაშინით „შეიარაღებულს" ციხეს, თუ გინდ სულ ათი კაცი იცავდეს, აუარებელი ჯარიც ვერას დააკლებს. საჭიროა მხოლოდ ელექტრონის მცოდნე კაცმა ელექტრონის მაშინას სასხურებელი მანქანა შეუერთოს, ისე რომ წყალმა ჯერ ელექტრონის მაშინაში გაიაროს და შემდეგ გამოვიდეს მილიდგან. ციხის დასაპყრობად აუარებელი ჯარი რომ მივიდეს იერიშით თავისის თოფ-ზარბაზნით, ფარ-ხმალით და დინამიტითაც, ციხეს მაინც ვერას დააკლებს და ახლოც-კი ვერ მიუდგება. ციხეში მყოფნი ამ ჯარს ერთს ტყვიასაც არ ესვრიან, მოხსნიან პირს წყლის სასხურებელს მანქანასა და საკმარისი იქნება. მოხვდება თუ არ ელექტრონის მაშინიდგან გაქანებული წყლის ნაკადული იერიშით მისულ ჯარის კაცსა, იმ წამსვე სისხლის დაუღვრელად გამოასალმებს წუთი-სოფელს. წყალიკი იყოს ციხეში ბლომად-და, რამდენი ხალხიც უნდა მიესიოს ციხეს, მაინც ვერას გააწყობენ, ყველას ცივის წყლით აუტირებს დედას ედისონის მიერ მოგონილი მანქანა. თუ ციხის მცველნი კაცთ-მოყვარე და გულ-ჩვილი ხალხიაო, ამბობს ედისონი, შეუძლიანთ არც-კი დაჰხოცონ ციხის ასაღებად გალაშქრებული ჯარი. მემაშინეს შეუძლიან შეამციროს ელექტრონის ძალა. მაშინ ელექტრონის მაშინით ნასხური წყალი იქვე დაბნიდავს მტერს და უგრძნობლად დასცემს დედამიწაზედ. ასე მიაძინეთ თქვენი მტერი, მერე ციხიდგან გამობრძანდით, შეჰკარ-შეჰბოჭეთ და დაატყვევეთ მთელი ლაშქარი. მაგრამ თუ რომელისამე მიზეზისა გამო ეს მოუხერხებლად მიგაჩნიათ, მაშინ ერთხელ კიდევ ასხურეთ ცივი წყალი გულ-წასულს გმირებსა და წამსვე ხმა ამოუღებლივ გაემგზავრებიან წიაღსა შინა აბრაამისასა...

როგორ მოიგონა და მოისაზრა ედისონმა ასეთის საკვირველის მანქანის

მანათად იყიდება თურმე. გაზ. „Т. Л.“ ამბობს, რომ ეს ათი ათასამდე მთიული ღირსია, რომ მთავრობამ იმათს გაჭირვებულს მდგომარეობას ყურადღება მიაქციოსო.

⁂ ამ დღეებში ზუგდიდის მაზრის ს. წალენჯიხას ერთი არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. თ. აფაქიძემ საჯარო ვაჭრობით შეიძინა მამული თავის სახლი-კაცისაგან. მეორე დღეს თ. აფაქიძე და ბოქაული კუზანოვი წავიდნენ ახალ შეძენილ მამულის დასათვალიერებლად. იქ დახვდათ ერთი გლეხ-კაცი, გვარი წულაია, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ეს მამული ძველ პატრონისაგან. წულიამ აფაქიძე მამულის პატრონად არა სცნო, ესროლა რევოლვერი და გვერდში დასჭრა. წულაია გაიქცა, თ. აფაქიძე დაედევნა და ეხლა ამან ესროლა რევოლვერი და წულაიას ტყვია ბეჭებში მოარტყა. წულაიამ იქვე სული დალია. ცოტა ხანს შემდეგ იპოვნეს წულაიას გვამი და მძიმედ დაჭრილი აფაქიძე. მკურნალის სიტყვით თ. აფაქიძე ჭრილობას ვერ გადურჩება თურმე.

ს. ჭაქვინჯს 7 ოქტომბერს მოჰკლეს ერთი კაცი, გვარად გობეჩია. 1—12 ოქტომბერს ამ მაზრაში ეს ექვსი კაცი მოუკლავთ.

⁂ 16 ოქტომბრიდგან მცხეთის სადგურზე სადეზინფექციო სენაკი გაუქმდა. ტფილისიდგან მიმავალ მგზავრებს სადეზინფექციო წამლებს აღარ ასხურებენ. ბათუმიდგან და ბაქოდგან მომავალ მგზავრებს ტფილისში ასხურებენ სადეზინფექციო წამლებს.

ამიერიდგან საფოსტო მატარებელი № 3 მოვა ბათუმიდგან ნაშუადღევის 12 ს. 25 წ. და გაემგზავრება ბაქოსკენ ნაშუადღევის 1 ს. 20 წ.

⁂ ნატანები: 13 ოქტომბერს 55 ვერსზე მატარებელმა გასრისა ლიანდაგის დარაჯი ფილიპე ლომაძე.

⁂ ფოთი: აქამდე ფოთში სიმინდი არ იყიდებოდა და არც მოჰქონდათ ფოთს საზღვარ-გარედ გასაგზავნად. შარშანდელი სიმინდი რუსეთის ბევრს ადგილას დარჩა გაუყიდველი და ათი ათას ფუთამდე ლპებოდა. ეხლაკი, ეტყობა, სიმინდის ვაჭრობა ცოტცოტად ილვიძებს და ფოთშიაც ბევრი მოაქვთ.

⁂ თიანეთი: ამას წინად, როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული, აქ, 3-ს ოქტომბერს, გახდა ავად ხოლერით ერთი თუში, და 4-ს იმავე თთვეს გარდაიცვალა. ავადმყოფობა შეჰხვედროდა ს. ალვანში (თიანეთის მაზრაშია), სადაც ამ ბოლოს დროს გავრცელდა. თიანელებს ძალიან შეეშინდათ ამ ამბისა, მერე ამ ჟამად აქ დიდ-ძალი ხალხი იყო შეკრებილი—ჯარში გასასვლელნი კენჭის ამოსაღებად. ადმინისტრაცია დაფაცურდა და ღონისძიებანი იხმარა ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ. სხვათა შორის, აქ გაიმართა ამ შემთხვევისთვის უფასო საჩაიე ყველა იმათთვის, ვინც მოგროვდა აქ კენჭის ამოსაღებლად. ეს საჩაიე გამართა მაზრის უფროსმა სხვა-და-სხვა კერძო კაცთა დახმარებით. საჩაიესათვის სულ დაიხარჯა 45 მან. 50 კაპ. ამ გვარად, ჩვენი მაზრა წელს მშვიდობიანად გადარჩა სენს. მხოლოდ ერწოში გარდაიცვალა ორიოდე კაცი.

## მთავრობის განკარგულებანი

გზათა სამინისტროს უწყების ინჟენერი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი რიძევსკი დანიშნულ იქმნა ვარშავავენის რკინის გზის დირექტორად.

## წლიური კრება

ქართულ დრამატიულის საზოგადოებისა

11 ოქტომბერს დანიშნული იყო ბანკის დარბაზში დრამატიულის საზოგადოების კრება ენკენისთვის 29-ის კრების ნაცვლად, რადგანაც მაშინ წევრთა ნაკლებობის გამო, წესდების ძალით ყრილობა ვერ შესდგა. ამ მეორედ დანიშნულ ყრილობაზედ შეიკრიბა 20-მდე წევრი მეთერთმეტე საათზედ. მმართველობის სკამებზედ შვიდს წევრში ოთხი იჯდა: მმართველობის თავმჯდომარე თ. გიორგი თუმანიშვილი, მდივანი პეტრე უმიკაშვილი, პეტრე ყიფიანი და გრიგოლ ყარაევი.

თავმჯდ. თ. გ. თუმანიშვილი. ვაცხადებ, რომ დღევანდელი კრება კანონიერია, რადგანაც მეორედ დანიშნულია და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს დღეს, შეგვიძლიან განვიხილოთ მორიგი საქმენი. ამიტომ გთხოვთ კრების თავმჯდომარე ამოირჩიოთ.

კრებამ სთხოვა მმართველობის თავმჯდომარეს თ. გ. თუმანიშვილს ეკისრა კრების თავმჯდომარეობა.

თავმჯდ. გ. თუმანიშვილი. დღეს სწორედ ორი წელიწადი სრულდება თ. დავით ერისთავის გარდაცვალების შემდეგ; ვთხოვ კრებას ადგომით პატივისცემა გამოუცხადოს მის ხსოვნას.

საზოგადოების წევრთ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცეს განსვენებულს, რომელსაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის თეატრის წინაშე.

თ. გიორგი თუმანიშვილი. დღეს კრებას განსახილველი აქვს მოხსენება სარევიზიო კომისიისა შარშანდელ ანგარიშის შესახებ, რომელიც უნდა წავიკითხოთ.

მდივანი პეტრე უმიკაშვილი კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას. აპრილის 12-ს საზოგადო კრებამ ამოირჩია სარევიზიო კომისია და მიანდო გაესინჯა საზოგადოების საქმეები და ანგარიში. კომისიას აღმოუჩენია რამდენიმე შეცდომა. შემოსავალში და გასავალში ციფრები არ უდგება მმართველობის ანგარიშის ციფრებსა, ასე რომ კასსაში 12 აპრილს უნდა ყოფილიყო 1524 მ. 9 კ. და არა 1433 მან. 44 კაპ., როგორც მმართველობის წარმოდგენილ ანგარიშშია ნაჩვენები, ესე იგი 90 მან. 65 კაპ. ნაკლები. ეს განსხვავება მომხდარა ფასიანი და უფასო კონტრამარკების არევ-დარევით და უწესურად ანგარიშის-წარმოებით. კონტრამარკები ეძლეოდა ბილეთების მისაღებად კასსიდამ ზოგი უფასოდ და ზოგი ნისიად. ნისიად მიცემულის კონტრამარკით ბილეთები გასავალში არის ჩათვლილი და, როდესაც ფული შემოსულა, შემოსავალში აღარ აღნიშნულა. ამ გვარი შეცდომით 80 მან. და 5 კაპ. თამაშობს ანგარიშში. ტანისამოსის შესანახი ამ გვარადვე შეცდომით არ ჩათვლილა 8 მან. 90 კაპ. სულ 88 მან. 95 კაპ., დანარჩენი 1 მან. და 70 კაპ. ნაკლებობა კომისიას ვერ გამოურკვევია, რაში დაჰკლებია.— ამ მოხსენებულს ნაკლს გარდა, სხვა-და-სხვა არტისტებზედ გავალებული ან დასაჭერი ფული 88 მან. 41 კაპ. აღარ შემოსულა და ამ გვარად დაჰკლებია საზოგადოებას.

შემდეგ სარევიზიო კომისია ყურადღებას აქცევს საზოგადოების საქმის წარმოებას. ამბობს, რომ არავითარი წესი და რიგი არა ჰქონია მმართველობას დადგენილი საქმის წარმოებისათვის და ყველაფერი შინაურულად უწარმოებია; ამისათვის მმართველობას წინადვე შემუშავებული წესი და რიგი მოეთხოვება. საქმეები და ანგარიშები ისე უნდა მოეწყოს, რომ გასაგები იყოს მარტო მწარმოებლისათვის-კი არა, არამედ ყველასთვის, ვინც-კი მოინდომებს ანგარიშების ცნობას მიუხედავად გასულის დროისა და ხანისა. უნდა იქონიოს შესაფერი დავთრები. კომისია ასახელებს, რა და რა გვარი დავთრები უნდა იქონიოს შემოსავალ-გასავლისა და სხვა ანგარიშისათვის. მმართველობას არ მოეპოვება საჭირო დავთრები არც შემოსულ-გასულის ქაღალდებისა, არა აქვს თვით ქაღალდები შეკერილი და შეკრული, არც ქონების ინვენტარი, ერთის სიტყვით ერთიანობა საქმისა არა აქვს და ვერაფერს ცნობებს და ჩანაწერს ვერ იშოვით საზოგადოების დაარსების დღიდგან, მაგალითად რა შემოსავალ-გასავალი ჰქონია საზოგადოებასა. ხოლო თანხის გასაგებად ხაზინადარს უნდა მიმართოთ და დაეკითხოთ, რამდენია ფული კასაში.

გარდერობი და ბიბლიოთეკა სამწუხარო ყოფაში აღმოჩნდა. ტანისამოსი უწესურად არეულია ერთმანეთში დაუწმენდელი, არც შკაფებში ულაგია, არც დავთარი აქვს, რომ ვიცოდეთ, რა არის და რა ღირებულობისა. დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ გარდერობსაც და ბიბლიოთეკასაც ბევრი ტანისამოსი და პიესა აკლია.

ამ უწესობის მიზეზად კომისია სთვლის იმ გარემოებას, რომ მმართველობის წევრები თანაბრად არ იყოფენ მუშაობასა და თითო-ოროლა წევრს აჰკვენ თავზედ ყველა მუშაობასაო და ისინიც საქმეს ვერ გასძღოლიანო. ამ გვარ უწესობას, კომისიის აზრით, დაუყოვნებლად ბოლო უნდა მოეღოს და ყველგან მიღებული საკანცელარიო რიგი და წესი უნდა შემოღებულ იქმნას. ამისთვის დაწვრილებით მოხსენებული აქვს, რა რიგად უნდა შემოიღოს კანცელარიის მოწყობა, 2) გარდერობის და ბიბლიოთეკის მოწყობა და 3) სეზონისათვის საჭირო სამზადისი. სხვათა შორის კომისია მმართველობას ურჩევს პიესების ენა შეასწორებინოს მცოდნე კაცებს.

თ. გ. თუმანიშვილი. მმართველობას აქვს მოსახსენებელი თავისის მხრით შენიშვნები სარევიზიო წერილის შესახებ.

მდივანი კითხულობს მმართველობის მოხსენებას. სარევიზიო კომისიის წერილი გინიხილავს სამს საგანს: 1, უკანასკნელის წლის ანგარიშს, 2, მმართველობის საქმეების წარმოების წესსა და 3, ქონების (გარდერობის და ბიბლიოთეკის) მდგომარეობასა. ანგარიშების შესახებ კომისიამ დიდი განსხვავება ვერ იპოვნა, სულ 90 მ. და 65 კაპ., თითონვე ხსნის ამ განსხვავებას იმ შეცდომით, რომ კონტრამარკები არეულ-დარეულად ყოფილა ნაანგარიშევი. მმართველობამ ადმინისტრატორს მოსთხოვა ამისი ახსნა, მაგრამ ამ ჟამად ვერ მიიღო მისგან პასუხი, რადგანაც დრო არა ჰქონდა შეემოწმებინა. მმართველობა შესცდომოდა სთვლის ამ შეცდომასა, მეტადრე იმის გამო, რომ ადმინისტრატორს ბევრი შრომა აწევა: მას არ ეძლევა, როგორც ყოველ ფულის შემოსავალ-გასავლის გამძღოლს, გადაცილებულ გასავლის ხარჯი, ამიტომ მმართველობა ანგარიშის შესასწორებლად ჰგონებს, მოხსენებული 90 მ, 65 კ. გადაცილებულ ხარჯის სტატიად ჩასთვალოს. რაც შეეხება 88 მანეთს 41 კაპ., რომელიც არტისტებს მისცემია და უკან დაბრუნების იმედი აღარ არის, ეს ხარჯი უნდა ახსნილ იქმნას. საზოგადოების საქმის

---

გამართვა? აი როგორ. ნიუ-იორკის ერთს სახლს ცეცხლი წაეკიდა თურმე. ცეცხლის მქრობელი რაზმი ცეცხლს აქრობდა. იმ სახლის კედლის გვერდზედ, რომელიც იწოდა, ტელეგრაფის მავთული იყო გაყვანილი. ცეცხლის ჩაქრობის დროს უეცრად გარდაიცვალა ცეცხლის მქრობელის რაზმის ის კაცი, რომელსაც ხელში წყლის მილი ეჭირა. ედისონმა ამ ამბავს ყურადღება მიაქცია. გასჭრეს გარდაცვალებულის გვამი და დარწმუნდნენ, რომ ეს კაცი თურმე ელექტრონის ძალას მოეკლა. ედისონი მაშინვე მიხვდა, რომ ტელეგრაფის მავთულიდგან წყლის ნაკადულით ელექტრონის ძალა სცემია ცეცხლის მქრობელის რაზმის კაცსა და იმას მოუკლავს წამსვე საცოდავი. ედისონი ამ მოსაზრებას არ დასჯერდა. გაჰმართა პატარა ელექტრონის მაშინა და ამ მაშინაში გატარებული წყალი ასხურა კატებს. „მეცნიერებისთვის წამებულნი“ კატებიცკი დარწმუნდნენო, იხუჯობით ამბობს ედისონი, რომ ელექტრონის ძალა წყლის შემწეობითაც მოქმედობს ყველა სულდგმულზედ; დარწმუნდნენ მხოლოდ იმ სოფლად, რადგანაც ცივს აბანოს შემდეგ გამოეთხოვნენ ამ წუთი-სოფელს და გაემგზავრნენ იმ სოფლადაო...

**

შარშან, წლის დამლევს, ინგლისის მეცნიერმა კრუკსმა ლონდონის ელექტრო-ტეხნიკთა საზოგადოების კრებაზედ სხვათა შორის სთქვა: „ელექტრონის ძალის გამოკვლევამ დამარწმუნა, რომ შესაძლებელია დეპეშის გადაცემა უმავთულოდაც მოხერხდესო და, იმედია, ოდესმე ეს ჩემი აზრი განხორციელდება, მაგრამ რა საჭიროა ლაპარაკი იმ საქმის შესახებ, რომელიც, ჯერ ვინ იცის, როდის მოხერხდება და ამიტომ ვშიშობ, ჩემი აზრი ბოდვად არ ჩამომართვათო“. რას მოიფიქრებდა კრუკსი, რომ სწორედ იმ დროს, როცა უმავთულოდ დეპეშების გადაცემის შესახებ ლაპარაკსაც-კი ძლივსა ჰბედავდა, ატლანტის ოკეანეს გაღმა ედისონმა ეს აზრი უკვე საქმედაც აქცია და თვალნათლად დაამტკიცა, რომ დეპეშის გადაცემა უმავთულოდ ძლიერ ადვილად მოსახერხებელი საქმეაო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ორი მაღალი კოშკი გაიმართოს და კოშკებზედ ელექტრონის მაშინები დაიდგას. ერთის ელექტრონის მაშინიდგან თურმე სრულიად შესაძლებელი ყოფილა ისე გაიგზავნოს დეპეშა მეორემდე, როგორც ეხლა ერთის სადგურიდგან იგზავნება მავთულის შემწეობით მეორე სადგურამდე. ზემოდა ვსთქვით, ელექტრონის ძალა წყალს გაჰყვებაო, ეს ძალა ჰაერშიაც ადვილად გაივლის თურმე და ერთის კოშკის მაშინიდგან ადვილად მიაღწევს მეორე კოშკის მაშინამდე. დეპეშის მიმღებ კოშკის მაშინაზედ გამართულია ძლიერ თხელი ფირფიტები, როგორიც ფონოგრაფსა აქვს. პირველ კოშკიდგან გამოგზავნილი ელექტრონის ძალა ჰხვდება ამ ფირფიტებს და მოძრაობაში მოჰყავს. ამ მოძრაობის გამო კოშკში თავის თავად სხვა-და-სხვა ნიშნები იწერება. ამ ნიშნებისაგან ანბანის შედგენა ხომ სულ უბრალო საქმეა. საჭიროა მხოლოდ, რომ კოშკები მაღალი იყოს. ეიფელის კოშკი, მაგალითად, ძალიან გამოსადეგი იქნება ამ უცნაურის ტელეგრაფისათვის. რა თქმა უნდა, ამ გვარად დეპეშის გადაცემა უფრო ადვილიც იქნება და გაცილებით უფრო იაფადაც დაჯდება; საჭიროა მხოლოდ ყველა ქალაქში საკმაოდ მაღალი კოშკი გაიმართოს (ასეთი კოშკები ბევრ სხვა საქმისათვისაც გამოდგება) და ამ კოშკში თითო ელექტრონის მანქანა დაიდგას. აღარც ტელეგრაფის ბოძები იქნება საჭირო და აღარც მავთულები.

**

ზღვაზედ ხომ, ედისონის აზრით, უფრო ადვილია უმავთულოდ დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნა. აქ არც კოშკებია საჭირო. ყველა გემზედ გაიმართება სადეპეშო ელექტრონის მანქანა და გემს ყოველთვის შეეძლება ამ მანქანით ყველა მხარეს დეპეშები ჰგზავნოს. ახლო-მახლო ზღვით მიმავალი ერთ-ერთი გემი უეჭველად მიიღებს ამ დეპეშას.

ეს მოგონება ფრიად სასარგებლო იქნება გემით მოგზაურთათვის. ვთქვათ, გემი იღუპება. იმ წამსვე ამ გემიდგან ყოველ მხარეს გარშემო დეპეშებსა ჰგზავნიან და ზღვის ნაპირზედაც, რომელსამე ქალაქში (თუ, რასაკვირველია, გემი ზღვის ნაპირს ძლიერ არ არის დაშორებული) და იმ წამსვე ან ზღვაში მიმავალი რომელიმე გემი მიეშველება, ან არა-და, ზღვის პირიდგან „ელექტრონის ნავებს“ გაუგზავნიან.

**

ეს „ელექტრონის ნავები“ რაღა ჯადოქრობააო? იკითხავს გაოცებული მკითხველი. ეს ნავებიც ედისონის მოგონილი გახლავთ. ზღვის ნაპირზედ დაბმულია რამდენიმე ნავი. აქვე გამართულია ელექტრონის მაშინაც, რომელზედაც ნავები მავთულითაა მიბმული ნავში. გაკეთებულია რამდენიმე დიდი კოჭი, სწორედ იმ სახისა, რომელზედაც ძაფს ახვევენ. ამ კოჭებზედ დახვეულია ძლიერ წვრილი და ძლიერ გრძელი მავთული. ეს მავთული შეერთებულია ელექტრონის მანქანასთან. თუ ვინიცობაა, ზღვის ნაპირს ახლო სადმე გემი იღუპება, იმ წამსვე ამ ნავებს ელექტრონის ძალით შეაცურებენ ზღვაში. ნავისთვის არც მენავეებია საჭირო და არც ნიჩბების მოსმა. ნავ-

წარმოების შესახებ მმართველობა იმ აზრისაა, რომ სარევიზიო კომისიის შენიშვნები სიმართლეს არ არის მოკლებული. მოუწყობლობა საქმეებისა საზოგადოების მოქმედების დაარსების პირველ დღიდამვე დაჰყვა ღონისძიების უქონლობისა გამო. საზოგადოებას საქმის მწარმოებელი არა ჰყოლია თავისუფალი, ან, როცა ჰყოლია, საშუალება არ მიუცია ყოველივე საქმეები საკანცელარიო წესით მოეწყო. აპრილშივე თავმჯდომარემ საზოგადო კრებას აუხსნა ეს გარემოება და მმართველობამაც მომავალის წლის შემოსავალ-გასავალის სავარაუდო აღრიცხვაში საკუთარი მუხლი შეიტანა საკანცელარიო მოწყობისა და მართვისათვის. ამ ჟამად მმართველობის წევრებმა გაიყვანეს სამუშაო საქმეები, განაწესეს რიგი, რაც-კი შეეხება შემოსავალ-გასავლის წარმოებას და ანგარიშებს, დავთრების და ქაღალდების მოწყობას.

საზოგადოების ქონება მმართველობას უხერხულად აქვს მოთავსებული პატარა ოთახში, მაგრამ ეს ადგილიც თეატრის შენობაში ძლივს გაიჩინა. საკუთარი შეძლება არა აქვს ქონების შესანახად სახლი იყიდოს, ან იქირაოს. შეძლებისამებრ საწყობი შკაფები და ხის თაროები კეთდება. ახლა მომვლელიც არის დაჭერილი; ინვენტარი და კატალოგი შედგენილია და ქონება ცნობაშია მოყვანილი. ტანისამოსი და პიესები წახდა და დაიკარგა იმის გამო, რომ სხვა-და-სხვა ადგილს წარმოდგენის გასამართავად თხოულობდნენ, წაღებ-წამოღებით ფუჭდებოდა ან სრულიად იკარგებოდა. ამის გამო ამას იქით აღარავის არ მიეცემა არც ტანისამოსი და არც პიესები, იშვიათ შემთხვევის გარდა.

(შემდეგი იქნება)

## საოპერეტტო დასის პირველი წარმოდგენა.

გუშინ-წინ, 15 ოქტომბერს, წარმოდგენა ჰქონდა ქ-ნ მ. მ. საფაროვის მიერ მოწვეულს რუსულს საოპერეტტო დასს. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ პირველად ახალი არტისტები ქ-ნი ა. მ. ბოენსი და ბ-ნნი ი. ა. ლიანოვი და პ. ი. ბელიაევი. წარმოადგინეს სტრაუსის სამ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა «Цыганскій баронъ»-ი („ყარაჩოხა ბარონი“). ქ-ნი ბოენსი თამაშობდა საფოს როლს, ბ-ნი ლიანოვი—ბარინკაისას, ხოლო ბელიაევი—კალმან ზუპანისას. არც ლიანოვი და არც ბელიაევი ისე რიგად არ მოსწონებია საზოგადოებას, რადგან ამ როლებში ამათზედ უკეთესი არტისტები უნახავთ ტფილელებს. ტენორს ლიანოვს პაწია ხმა აქვს და არც სცენის გამოცდილება ეტყობა დიდი. ბ-ნი ბელიაევი კომიკურს საოპერეტტო არტისტებს ბ-ნს ზავადსკის მოგვაგონებთ, მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ ბელიაევი ძალიან სცდილობს საზოგადოებას შორის სიცილის გამოწვევას, ხან თვალებს უცნაურად აახამხამებს ხოლმე და ხან რა საშუალებასა ჰხმარობს, რომ საზოგადოება გააცინოს. ქ-ნი ბოენსი შუა ტანისაა, უფრო დაბალი, ახალგაზდა არ არის და ხმა კარგი აქვს. დანარჩენ არტისტთა შორის, რომელთაც-კი პირველს წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა, თვალ-საჩინო აღარავინ არის. ხორო დიდია, მაგრამ ხმა-შეუწყობელი შეუთანხმებელი. ზოგი ქალები ხოროში სულ არა მღერიან, ისე თვალისათვის არიან გამოყვანილნი. მგალობელთა სიმცირე და ხმა-შეუწყობლობაა კიდეც მიზეზი, რომ მეორე მოქმედების დასაწყისში ხოროს საუცხოო საგალობელმა შეუმჩნევლად ჩაიარა, თუმცა ეს საგალობელი საზოგადოებას ყოველთვის განუმეორებინებია. საოპერეტტო დასს კომიკურ მოხუცებულ დედაკაცების როლების აღმსრულებელი არა ჰყავს. რაც შეეხება პირველ-ხარისხოვან მომღერალს ქალებს, ორი ლირიკული მომღერალია მოწვეული, ქ-ნი ბოენსი და ივანოვისა, რომელსაც ჯერ მონაწილეობა არ მიუღია წარმოდგენაში. დასს არა ჰყავს აგრეთვე უფრო მხიარული როლების აღმსრულებელი. მუსიკას, ბ-ნ გ. აპრელსკის ლოტბაროობით, არა უჭირს-რა, მაგრამ ეტყობათ-კი, რომ მემუსიკეები და მგალობლები ერთმანეთ შორის ჯერ ვერ შეწყობილან. პირველს წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

ა.

## წერილი პირ-იქით ხევსურეთიდგან.

პირ-იქითი ხევსურეთია ახიელისა ანუ არხოტისა, შატილისა და არდოტის სამამასახლისო. მოგეხსენებათ, რასაკვირველია, რომ საზოგადოდ ხევსურეთი მთა-გორიანი და უგზო, მიუვალი ქვეყანაა. ამ გვარივეა პირ-იქითი ხევსურეთიც. პირ-იქითელების გზებია, თვალ-გადუწვდენელ მაღალ მთების წვერებზედ და საშინელ გვერდალებზედ გავლებული, ხაზის მინაგვარი ვიწრო ცალ-ფეხი ბილიკები. ღმერთმა თვალითაც ნუ დაგანახვოთ ხამისა და შეუჩვეველის კაცის ტანჯვა ამ ბილიკებზედ მოგზაურობის დროს. გოლიათის ტანისაც რომ იყოს ადამიანი, შიშისაგან ისე ილევა და იკუმშება, რომ მუშტის ოდნად-ღა სჩანს ცხენზე.

ეს სრული უგზოობა უნდა ჩაითვალოს იმის უმთავრესს მიზეზად, რომ არც ხევსურებს ემარჯვებათ და ეხალისებათ სხვა ქვეყნებში გასვლა და არცა რა სხვა ქვეყნელები მიდიან იმათის ყოველ დღიურის ცხოვრების და გარემოების შესატყობ-შესასწავლად. ოდესმე შეხიზნული თითქმის მიუვალ მთაში ხევსური, დღევანდლამდე ვერ ჰბედავს ბარად ჩამოსვლას, თუ რამ დიდი გაჭირვება და შევიწროება არ მიადგა კარს. აბა რა ბევრი ლაპარაკი უნდა, რომ ამ გვარი განშორებული და განდეგილი ცხოვრება, ამ გვარი ყოფა კარ-ჩაკეტილში, ყველაფერში დააქვეითებდა, დაამცირებდა და დაამდაბლებდა ხევსურს; ხევსური, მართლაც, გლახა, ღარიბი და ღატაკია ზნეობითაც, გონებითაც და ქონებითაც. ხევსურეთი მეტად მწირი და ღატაკი ქვეყანაა, უფრო მწირი და ღატაკი, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხე ჩვენის ქვეყნისა. ხევსურნიც ყველაზედ ღარიბნი არიან და ამასთანავე, ბატონიშვილ ვახუშტის სიტყვა რომ ვიხმაროთ, ყველაზედ „ბრიყვნი და უზდელნიცა“. ნასწავლი და შეგნებული ბარელები სრულებით არ დაიარებიან ხევსურეთში და ამის გამოა, რომ დღევანდლამდე ქართულმა საზოგადოებამ არ იცის ზედმიწევნით ხევსურების გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება და მათი უკან ჩამორჩენა ყველაფერში.

რასაკვირველია, სამწუხაროდ უნდა მიგვაჩნდეს ეს გარემოება, მაგრამ უფრო-კი სამწუხარო და გულ-დასაკლისია, რომ ხსენებულ ხალხის ყოფა-მდგომარეობის შესახებ ჯეროვან ცოდნას მოკლებულნი არიან ისინიც-კი, ვისაც თვით თანამდებობა და სამსახური ვალად სდებს ამ გვარის ცოდნით აღიჭურვნენ. საიდამ გაიცნობდნენ ესენი ხევსურეთს, როდესაც არა ცდილან და არ გასჯილან გულ-დადებით დაევლოთ ეს მივარდნილი და ბედშავი კუთხე! არხოტში, შემოგვჩივლეს რა დროულმა კაცებმა თავიანთი აწინდელი გაჭირვება, სხვათა შორის, გვითხრეს, რომ რაც თიანეთში დაარსებულა მაზრის უფროსის თანამდებობა, გარდა ზურაბ რატიშვილისა, ჩვენში მოსული უფროსი არ გვინახავს და, ხსენებული რატიშვილი რომ არ გვენახა, არ გვეცოდინებოდა, რომ მაზრის უფროსიც კაცი ყოფილაო. მაზრის გამგებლებს არა სცოდნიათ და არც იციან, რა გაჭირვებაში იმყოფებიან ხევსურები და რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რომ ხალხმა ცოტაოდნად მაინც თავისუფლად ამოისუნთქოს და ჭკუა-გონების განვითარების გზას დაადგეს.

აი, სხვათა შორის, ერთი გარემოება, რომელიც ყოველ მხრივ სულს უხუთავს პირ-იქითელ ხევსურებს და რომლის მოსპობაც ადვილი იქნება სამაზრო მთავრობისთვის, თუ გულმტკივნეულად დაუკვირდება შეწუხებულ ხევსურების ცხოვრებას. პირ-იქითი ხევსურეთი იმდენად მარჯვე და ახლოა კავკავზედ (ძაუგზედ), რომ ერთ დღეს სულ ადრე გადავა კაცი, ისაქმებს და ცოტაოდენ გზასაც წამოიმოკლებს მეორე დღისთვის. პირ-იქითელები, რასაკვირველია, სულ ამ მხარეს ივლიდნენ, პურსაც კავკავიდგან მოიტანდნენ, მარილსაც, სპილენძეულობასაც და ფართალსაც, ერთის სიტყვით, ხევსური მუდამ კავკავს მიეტანებოდა და, ვინ იცის, იქნება აქამდის ეს ხალხიც შე ჩვეოდა აღებ-მიცემას; იქნება ისე სამძიმოთ აღარ მისჩნეოდა გარედ გასვლა, როგორც დღეს მიაჩნია; იქნება სწავლა-განათლებაც შეეყვარებინა და კავკავის სკოლა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ დღეს სავსე ყოფილიყო ხევსურების ნიჭიერ და ცქრიალა ბავშვებითა, იქნება... მაგრამ, რა იქნება, როდესაც პირ-იქით ხევსურეთსა და კავკავს შუა ისეთი გველეშაპია გაწოლილი, რომ არამც თუ კავკასიის გზაზედ, თავიანთ მამულებშიაც შიშქვეშ უნდა იყვნენ ხევსურნი. მინდორში მუშაობის დროს პირ-იქითელ ხევსურს ერთ ხელში ფარი და დაშნა უჭირავს და მეორეში—სამუშაო იარაღი. ეს გველაშაპი დაუძინებელი მტერი, რომელიც მუდამ აწიოკებს და მოსვენებას უფთხობს პირიქითელ ხევსურს, არის ქისტი. პირიქითა ხევსურების უახლოესი მეზობლები და მომიჯნავენი ისინი არიან. ხევსურს რო კავკავში წასვლა მოუნდეს, უეჭველათ, ქისტზე უნდა გაიაროს და ქისტებში ჩამოხტეს დასასვენებლად. მაგრამ საუბედუროდ, ძველის ძველთაგანვე ქისტებსა და ხევსურებს შუა ყოფილა საშინელი მტრობა და დღევანდლამდის ერთმანეთის დაუნდობელი, სისხლის მსმელი მოქიშპენი არიან. სადაც-კი მოასწრობს ქისტი ხევსურს, ანუ ხევსური ქისტს, უეჭველად უნდა ერთმანეთს შეებრძოლონ და თოფი ესროლონ ერთმა-მეორეს. ორი დღე დავრჩით არხოტში და ორი ხევსური დასჭრეს ქისტებმა. ასეთი დაუნდობელი მტრობა აქვთ ხევსურებსა და ქისტებს. ადვილი მისახვედრია, რომ ხევსურისთვის მუდამ საშიში და სახიფათოა ქისტებში მოგზაურობა და ამისთვის კავკავის გზა მისთვის მუდამ შეკრულია.

ბევრი გაჭირვება ადგია ხევსურს და, როგორც იქნებოდა, თავიდამ აიცილებდა, კავკასიის გზა რო გახსნილი იყოს, მაგრამ, შიშისა გამო, ისევ თავის სოფელში უსაქმოდ ყოფნას „ფეხონში“ ტყუილ-უბრალოდ ლაყბობას, განუწყვეტელ ჩიბუხის წევას და ჭყიპურტებას რჩეობს. ამ გვარად, ხევსური ნება-უნებლიედ ეჩვევა სიზარმაცეს, ვერ უვა-

---

ელექტრონის ძალით მისცურავს წყალში ისეთის სისწრაფით, როგორსაც მოისურვებს მემაშინე ელექტრონისა; ნავი რომ თანდათან შორდება ნაპირს, კოჭებზედ დახვეული მავთული თანდათან გადმოეხვევა; ნავი მივა დაშავებულ გემთან; ხალხი ნავში ჩაჯდება და ნავი ელექტრონისივე ძალით ნაპირისკენ გამოსწევს; ნავი რომ ნაპირს უახლოვდება, კოჭებზედ მავთული ისევ ისე ეხვევა. რაც უნდა დიდი ქარტეხილი და ქარიშხალი იყოს ზღვაში, „ელექტრონის ნავი“ არც დაიღუპება და არც გადაბრუნდება.

**

ვინ არ იცის, რა ძლიერ უგვიანდება მიმოსვლა რკინის გზის მატარებელს, იმიტომ-რომ ყველა სადგურზედ უნდა გაჩერდეს, ვაგონებში სადგურიდგან წამსვლელნი ჩასხდნენ და მოსულნი გადმოსხდნენ. რა თქმა უნდა, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა, მატარებელი სადგურზედ არა ჩერდებოდეს ხოლმე. მაგრამ როგორ უნდა მოხერხებულიყო ესა. ადამიანი ხომ ფრინველი არ არის, რომ გაქანებულ მატარებელზედ შეფრინდეს, ან გადმოფრინდეს მატარებლიდგან? ამერიკელებმა ამის ხერხიც მოიგონეს და ისე გამართეს რკინის გზის მიმოსვლა, რომ მატარებელი სადგურებზედ არა ჩერდება. ვისაც რომელსამე სადგურზედ ჰსურს ჩამოხტომა, სულ ბოლოს მობმულს ვაგონში უნდა ჩაჯდეს. როცა მატარებელის დანიშნულ სადგურს მიუახლოვდება, უკანასკნელი ვაგონი თავის თავად მოეხსნება და სადგურზედ გაჩერდება. მატარებელი-კი ერთს წუთსაც არა ჩერდება და მიჰქრის თავისთვის. ეს ხომ ძლიერ ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ ის როგორ-ღა მოახერხეს, რომ მატარებელი არ გააჩერონ და ისე ჩასხდეს ხალხი მატარებელში რომელსამე სადგურზედ? ძლიერ ადვილად. სადგურთან დათავქვევებულ ლიანდაგზედ სდგას ერთი ვაგონი. წამსვლელნი შიგა სხდებიან და ელიან მატარებლის მოსვლას. ამ ვაგონს ერთი ისარი იმაგრებს. ეს ისარი მავთულით გადაბმულია იმ ისართან, რომელიც გზის მთავარ ლიანდაგზეა გამართული, იმ ლიანდაგზედ, რომელზედაც მატარებელმა უნდა გამოიაროს. მატარებელი რომ სადგურს მოუახლოვდება, ლიანდაგზედ გამართულს ისარს მოედება და ისარი გადატრიალდება, გამოსწევს მავთულს და იმ ისარს გადაატრიალებს, რომელიც აქამდე დათავქვევებულ ვაგონს იმაგრებდა. ვაგონი თავქვე დაქანდება, გადავა მთავარს ლიანდაგზედ, დაეწევა მატარებელს და თავის თავად მოებმება.

**

ღმერთს გეფიცებით, ეს ამერიკელები ნამეტანი ახირებული ხალხი ყოფილა. ის ხომ მოახერხეს, რომ რკინის გზის მატარებელმა შეუჩერებლივ იაროს. ახლა ის დაიჟინეს, რომ ქალაქის ქუჩებში ელექტრონის „კონკამაც“ გაუჩერებლივ უნდა იაროსო. კაცს სადმე ძლიერ ეშურება წასვლა და „კონკას“-კი წამ და უწუმ აჩერებენო. ეს არაფერს არა ჰგავსო, ჯავრობდნენ თურმე ამერიკელები. „დრო ფულიაო“. ისეთი „კონკა“ გაგვიმართეთ, რომ ძლიერ სწრაფად დადიოდესო, არც წამ და უწუმ გაჩერდესო, და ამასთანავე ისე გაგვიმართეთ ეს „კონკა“, რომ ყველას: მოხუცს, ავადმყოფს, ქალსა და პატარა ყმაწვილებსაც ადვილად შეეძლოთ „კონკაში“ ჩაჯდომა და გადმოხტომაო. გაგონილა ასეთი ახირება?

მაგრამ აბა მიბრძანეთ, განა ამერიკელს გაუჭირდება რამე? თქვენც არ მომიკვდეთ. ბევრი იფიქრეს ამ საქმის შესახებ და გადასწყვიტეს: ეს რაღაც „კონკაა“, სრულად არვარგებულაო ჩვენთვის. ქუჩის აქეთ-იქით რომ ქვაფენილებია, ის რაღას გვიკეთებსო? რა ჭკუაა, რომ ამ ქვაფენილებზედ ფეხით დავდივართო? ის არა სჯობია, რომ ჩვენ-კი არ ვიაროთ ზედა, ქვაფენილმა იაროს „კონკასავითაო“, და ჩვენ-კი ზედ პატარა სკამები გავაკეთოთ და არხეინად დავბძანდეთო? თქმა ამისი და ასრულება ერთი იყო. ამერიკის ინჟენერებმა შმიტმა და სილსბიმ ჩიკაგოს ერთის ნაწილის ქუჩებში აქეთ იქით ორ-ორი ქვაფენილი გამართეს ერთი მეორის გვერდზედ; ამ ქვაფენილს თვლები შეუწყეს ქვეშ და უბრძანეს ელექტრონის ძალას: აბა, გეთაყვა, ეს თვლები დაგვიტრიალეო. ისე-კი უნდა ატრიალო, რომ პირველმა ქვაფენილმა ძლიერ ნელა იაროსო (საათში 5 კილომეტრი) და მეორემ-კი უფრო სწრაფადო (საათში 10 კილომეტრი). აბა ელექტრონის ძალა ამერიკელს ურჩობას როგორ გაუწევს! როგორც უბრძანეს, ისე იქცევა. პირველი ქვა-ფენილი ძლიერ მძიმედ, კუსავით მიღოღავს, ასე რომ ყველას ადვილად შეუძლიან ამ ქვაფენილზედ შედგეს. მეორე-კი თუმცა უფრო ჩქარა მიდის, მაგრამ პირველ ქვაფენილიდგან მეორეზედ ძლიერ ადვილია გადასვლა, რადგანაც ორივე მოძრაობაშია. ორის თთვის განმავლობაში ჩიკაგოს ქუჩებში ამ ქვაფენილით 10,000 კაცმა გაიარა და ქუჩიდგან ქვაფენილზედ გადასვლა გადმოსვლაში ერთი კაციც არ დაშავებულა. იქნება გეგონოთ, ეს კაცი ზღაპრებს გვეუბნებაო, ქვაფენილის სიარული ვის გაუგიაო? გარწმუნებთ, რომ არ გეხუმრებით! აი, მერმის გამოფენაა ჩიკაგოს და, თუ გნებავთ, წაბრძანდით და თქვენის თვალით გასინჯეთ. მე-კი, რაც გამიგონია, მხოლოდ იმას მოგახსენებთ.

აპრა

რჯიშებია თავისი ჯანი და გონება და ამისთვის ყველაფერში დავარდნილია და უკან დარჩომილი. ამ დამჩაგვრელ, ჭკუა-გონების დამაჩლუნგებელ და დამადუნებელ გარემოებით თუ აიხსნება ის ამბავი, რომ ხევსურმა დღევანდლამდე არ იცის ნიჩბის ხმარება და ყოველ გვარ ბინძურებას ხელით ჰხვეტამს, მანდილოსნებს თავ-პირს აბანინებს ძროხის შარდით, არ ხმარობს სარეცხის საპონს, არ ეწყობა სავარცხელს და სხვა.

ბუნებით ნიჭიერი და მიხვედრილი პირ იქითელი ხევსური ადვილად აიღებდა ხელს ამ სამარცხვინო და მხეცურ ქცევაზე, თუ მიეცემოდა თავისუფალი და უშიშარი გზა ბარში გასასვლელად, თუ მიეცემოდა შემთხვევა თვალი დაეკრა ბარელების ცხოვრებისათვის და მათ შორის რამდენსამე ხანს დარჩენილიყო.

ადვილი მოსაბრუნებელნი არიან ხევსურნი წარმატების გზისაკენ, თუ თავს გამოიდებს ადგილობრივი სამაზრო მმართველობა. მაზრის ადმინისტრაციამ უნდა გაუადვილოს პირიქითელ ხევსურთ კავკავში მისვლა-მოსვლის საქმე, ხოლო კავკავში მისვლა-მოსვლა ადვილი და უშიშარი შეიქნება პირიქითელ ხევსურისათვის მარტო მაშინ, როდესაც აღარ ექნება შიში ქისტურის თოფის ტყვიისა და ქისტურის ბარის ხანჯლისა, ამისათვის მაზრის მოთავემ უნდა ილონოს ყოველ-გვარი ღონისძიება და ხერხი, რომ ჩამოერთვათ იარაღის ხმარების ნება ჯერ ქისტებს და შემდეგ ხევსურთაც. ვიდრე ეს არ მოხდება ე. ი. სინამ ქისტი დღევანდებურად თავიდამ ფეხამდე შეთოფიარაღებულია, მანამდე პირიქითელ ხევსურისათვის კავკავის გზა დახშულია. ხევსური იძულებულია ისევ შავკლდეებში ცხოვრებას და ყოველი მეცადინეობა იმის განათლებისათვის მუქთათ ჩაივლის. არ იფიქროთ, რომ იარაღის ჩამორთმევამ გამოიწვიოს ქისტებში ან ხევსურებში რაიმე არეულობა ან უსიამოვნება. ერთ დროს ამ საქმის დაწყება კიდეც განუზრახავთ, და, როგორც დაგვაჯერა ერთმა გამოცდილმა მოხელემ, ქისტებს და ხევსურებს თითქმის მოსწონებიათ ეს აზრი. ამისთვის ვისაც გული შესტკივა ხევსურების განათლებისათვის და სასურველად მიაჩნია მათი ბედნიერება, მივმართამთ და გულითადის თხოვნითა ვთხოვთ, მიაქციონ აღნიშნულ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და სხვებიც ჩაახედონ ხევსურების აწინდელ გაწბილებულ და გამწარებულ ცხოვრებაში.

კიდევ გავიმეორებთ, რომ დიდსა და ენით გამოუთქმელ გაჭირებაში იმყოფებიან ხევსურნი; მათი ახლო მომავალი საეჭვო და ძალიან დასაფიქრებელია. ეხლა ესაჭიროებათ ხევსურთ თავიანთი განათლებულ და ბედნიერ ძმების თავდადებული და ერთგული დახმარება. ეხლა უნდა ამოიღოს უსათუოდ ყველამ ხმა, ეხლა უნდა ეცადოს ყველა, რომ ხევსურთ გაეხსნათ გზა და ამით მიეცეთ ღონე, რომ ქერის პურითაც არის გაიძლონ კუჭი.

ჩხოკეთელი.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიაში“ გახლდათ მოხსენებული, რომ განსვენებულ პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოტანის ნება დართეს ქ. ტფილისში განჯისა და ტფილისის გუბერნატორებმა და მაშასადამე, ვითომც აღარაფერი დაბრკოლება აღარ უნდა იყოს განსვენებულის პოეტის გვამის გადმოტანის შესახებაო.

სამწუხაროდ, ეს ამბავი მართალი არ გამოდგა. აი ნამდვილი გარემოება საქმისა.

შარშან ტფილისის მაზრის მემამულემ, თ. დავით ზაქარიას ძემ ბარათაშვილმა არზა მიართვა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, ნება მიბოძეთ, რომ ჩემის ნათესავის, განსვენებულ თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გვამი განჯიდგან ტფილისს გადმოვასვენოვო. გუბერნატორმა თავის მხრით ნება სთხოვა ამისა ბ-ნ მთავარ-მართებელს.

ამაზე მთავარ-მმართებლის კანცელარიამ შეატყობინა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს შემდეგი: თავადი ნ. მ. ბარათაშვილი გარდაიცვალა 9 ოქტომბერს 1845 წელს ცხელებით და დასაფლავებულია ქალაქის ეკკლესიის გალავანში, რომელიც ეხლა გაუქმებულია. ბარათაშვილის დასაფლავების შემდეგ ეკკლესიის გალავანი შეუსწორებიათ, დიდი მიწა გადუთხრიათ, საფლავის ქვები დაუძრავთ ადგილიდგან და ზოგიერთი მათ შორის სრულიად დაკარგულია. დაკარგულია ის ქვაც, რომელიც ედო ბარათაშვილის საფლავს.

ამისათვის, ის ალაგი, სადაც იყო დასაფლავებული ბარათაშვილი, აღარავინ იცის.

ამის გამო მთავარ-მმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა შერემეტევმა ინება და ბრძანა: მაგ თხოვნის შესრულება ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების შესახებ ტფილისში შეუძლებელიაო.

ტფილისის გუბერნატორმა აუწყა რა ეს გარემოება ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს (26 ნოემბერს 1891 წ. № 4912) სთხოვა, აცნობე ეს თ. დ. ზ. ბარათაშვილსაო. როგორც სჩანს ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერის საქმიდგან, განკარგულება მთავარ-მმართებლისა გამოცხადებია თ. დავით ზაქარიას ძეს ბარათაშვილს 12 დეკემბერს 1891 წელს.

ამ სახით, ოფიციალური მიწერ-მოწერით ვხედავთ, რომ ყოველივე ჩვენი შრომა და ცდა ეხლა განსვენებულ პოეტის გვამის გადმოსვენების შესახებ ტფილისში უნაყოფო იქნება, რადგან ძალიან, ძალიან დავიგვიანეთ და მხოლოდ მაშინ შევუდექით საქმეს, როცა ყოველივე კვალი პოეტის სასაფლაოსი დაიკარგა.

ა. ყიფშიძე

რამდენადაც გვახსოვს, გაზ. „დროებაში“ იყო დაბეჭდილი პატივცემულ კონსტანტინე მამაცაშვილის წერილი, რომ ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვა შენახულია ეკკლესიაში იქაურის მღვდლის, დღეს დეკანოზ მძინარაშვილის მიერ. მაშასადამე შესაძლებელია, ქვის შემნახველთა და ადგილიდგან დამძვრელთ ის ადგილიც ახსოვდეთ, საიდგანაც აიღეს ქვა და სადაც დამარხული უნდა იყოს პოეტი ნ. ბარათაშვილი. იმედი გვაქვს, როგორც პატივცემული დეკანოზი მამა მძინარაშვილი, ეგრეთვე განჯის მკვიდრნი მცხოვრებელნი ქართველნი, რომელთაცკი იციან რამე ამ გარემოებისა, არ დაიზარებენ და წერილით შეგვატყობინებენ ყოველსავე განსვენებულის ნათესავთა საცნობლად.

რედ.

## დეპეშა

16 ოქტომბერი

**პარიჟი.** კარმოს გაფიცულ მუშების კომიტეტმა გადასწყვიტა: ნუ დავეთანხმებით მორიგების ჩამომგდების მსურველთა განაჩენსაო და ნუ დავივიწყებთ მუშაობასაო. აი რა აზრით გადაუწყვეტიათ ასე: 1) ეს განაჩენი აღიარებს რა, რომ კალვინიაკის დათხოვნა კენჭის ყრის უფლების დარღვევააო, ნებას-კი არ აძლევს კალვინიაკს, დროებით მაინც იმუშაოს. 2) მლვიმე-მალაროს ყველა მუშები თანხმობით მოქმედებდნენ 3—15 აგვისტოს მომხდარ ამბების დროს, მაგრამ სასამართლომ-კი, მხოლოდ ათი დასაჯა და ამ ათს არ ეძლევა მუშაობის ნებაო. მლვიმე-მალაროს მუშათა კრებაზე იმ საღამოს ეს განაჩენი კომიტეტისა დამტკიცებულ იქმნა. გაზეთებს საერთოდ მოსწონთ ლუბეს შუა-კაცობით გადაწყვეტილი და ამბობენ, რომ საქმე ახლა გათავებულია და როგორც მლვიმე-მალაროების პატრონები, აგრეთვე კარმოს გაფიცულნი მუშანი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ზემოხსენებულს განაჩენსაო. რადიკალებისა და სოციალისტების გაზეთები არ ჰმალავენ თავიანთს უსიამოვნებას, მაგრამ ისკი ვერ გაუბედნიათ, მუშებს ურჩიონ უწინდელებრ მოიქეცით და მუშაობას ხელს ნუ მიჰყოფთო „Iustice“ ურჩევს მუშებს, მაგალითი გონიერებისა აჩვენეთ სხვებსაო, ხოლო „Laterne“ იმ რჩევას აძლევს, რომ მუშაობა დაიწყეთო. კანონის მცოდნეთა აზრით, ლუბეს განაჩენს არავითარი სავალდებულო მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ლუბემ წინდაწინვე არ იზრუნა და ორსავე მხარეს ხელ-წერილი არ ჩამოართვა, უნდა დაემორჩილნეთ ჩემს 5 განაჩენსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8,01 | 8,05 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 160¼ | 161 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 236 | — ,, | — ,, |
| —მეორისა | 217 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 191 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—9)

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათეთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—20)

## ფოთის ქალაქის გამგეობისაგან

ფოთის ქალაქის გამგეობა, რაკი 29 სექტემბერს არ შესდგა ვაჭრობა, კვლავ მოიწვევს მსურველთ ვაჭრობაზედ, რომელიც დანიშნულია გამგეობის სადგურში 1892 წლის 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ. ამ ვაჭრობაზედ უნდა გაიცეს იჯარით გაკეთება გზა-ტკეცილისა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ვოგზალსა და ფოთის ნავთ-სადგურის (პოსტს) შუა, სიგრძით $805^1/_2$ საჟენი უკვე დამტკიცებულის ხარჯთ-აღრიცხვით 21,355 მან. და 1 კაპ.—ვაჭრობას, რომელსაც კანონით დაწესებულია, განმეორებული ვაჭრომა უნდა მოჰყვეს სამს დღეს შემდეგ, შეიძლება მონაწილეობის მიღება სიტყვიერადაც და დაბეჭდილ განცხადების შემწეობითაც.

პირობა ამ იჯარისა, დახატული პლანი და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა შეიძლება ჰნახოს მსურველმა ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე უქმე დღეებ გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვისაც სურს შემოვიდეს ვაჭრობაში, ვაჭრობის დღეს, 12 საათზედ უნდა წარმოადგინოს 5% გამოცხადებულის საიჯარადრო ფულისა ნაღდ ფულად ან სარგებლიანის ქაღალდებით ჯარიმის უზრუნველ საყოფელად.

დაბეჭდილი განცხადებანი უნდა წარმოდგენილ იქმნას ან გამოგზავნილი არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა იმ დღეს, რა დღესაც არის ვაჭრობა.

დამტკიცება ვაჭრობისა ფოთის ქალაქის საბჭოზეა დამოკიდებული.

(3—3)

**НОВАЯ КНИГА:**

КЪ ИСТОРІИ РАЗБОЯ НА КАВКАЗѢ

**ТАТО ЦУЛИКИДЗЕ,**

СОЧ. А. С. ФРЕНКЕЛЯ,

цена 1 руб.

**продается**

у автора, (Тифлисъ, Троицкій пер., Рѣчицкаго).—Выписывающіе книгу непосредственно отъ автора, за пересылку ея не платятъ.—Кромѣ того можно пріобрѣсть: въ Тифлисѣ: въ книжнихъ магазинахъ быв. Беренштама, Центральномъ, Хиддекеля и др., въ Москвѣ: у Анисимова и въ С.-Петербургѣ: у Анисимова, Чичинадзе и Мартынова.

(3—2)

იოსებ ი. ბოკიელოვის მაღაზიაში

# ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—15)


Дозв. ценз. Тифлисъ, 16-го Октября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.